Erasmus+

სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის თანამშრომლის მობილობა ბეირას ინტერიერის უნივერსიტეტში

2021 წლის 18-22 ოქტომბერს, ევროკავშირის Erasmus+ Training Mobility (KA107) გაცვლითი პროექტის ფარგლებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის თანამშრომელი, ასისტ. პროფ. დარეჯან ცუცქირიძე ადმინისტრაციული პერსონალის ტრეინინგის მიზნით მობილობით იმყოფებოდა პროექტის კოორდინატორ პორტუგალიის ბეირას ინტერიერის უნივერსიტეტში (კოვილია, პორტუგალია) (University of Beira Interior - UBI).

ასისტ. პროფ. დარეჯან ცუცქირიძე შეხვდა ბეირას ინტერიერის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და პროფესიული შესაძლებლობების განყოფილების თანამშრომელს ჯოანა ფერნანდესს. შეხვედრა გაიმართა თბილ და საინტერესო გარემოში. საუბარი ძირითადად მობილობის პროცესთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხების, მობილობის მიზნების, გამოცდილების გაზიარებისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ წარიმართა.

ბეირას ინტერიერის უნივერსიტეტი

დარეჯან ცუცქირიძე ესტუმრა ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, კერძოდ, სოციოლოგიის დეპარტამენტს, რომლის ადმინისტრაციული და აკადემური თანამშრომლები მას ბეირას ინტერიერის უნივერსიტეტში ყოფნის პერიოდში მასპინძლობდნენ.

დეპარტამენტის თანამშრომლობთან გაცნობითი შეხვედრის შემდეგ, დარეჯან ცუცქირიძე შეხვდა მობილობის კოორდინატორს ბრუნო დანიელ ფერერა დე კოსტას; სამუშაო შეხვედრაზე ისაუბრეს ბეირას ინტერიერის უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ

და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის, სტუქტურისა და ფაკულტეტზე არსებული აკადემიური დეპარტამენეტების შესახებ; პორტუგალიელმა კოორდინატორმა ახალგაზრდა ქართველ კოლეგას ესაუბრა ბეირას ინტერიერის უნივერსიტეტში სწავლის დაწყების მსურველთა მოტივაციის, მიზნების, შესაძლებლობების, ასევე, კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივებზე.



სტუდენტები შესვენებაზე: დეპარტამენტში ბარათების ასაღებად

ჰუმანიტარულ და სოციალურ ფაკულტეტი: კომპიუტერული კლასი

ასისტ. პროფ. დარეჯან ცუცქირიძემ მობილობის ფარგლებში გამართა არაერთი შეხვედრა. პროფესორ ლილიანა დომინგეს რეის ფერეირას ხელშწყობით მან ჩაატარა საჯარო პრეზენტაცია, სადაც დეტალურად ისაუბრა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ისტორიაზე, უნივერსიტეტში არსებულ ფაკულტეტებზე, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიებისა და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტების მიღწევებზე, სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე, უნივერსიტეტის აკადემიურ და კვლევით მიღწევებზე, საერთაშორისო პარტნიორებზე, ასევე, უნივერსიტეტის აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებაზე.

პრეზენტაცია

ქალბატონი ცუცქირიძე შეხვდა საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალობის სწავლების პირველი წლის სტუდენტებს, რომელთანაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ზემოაღნიშნული ფაკულტეტების პრეზენტაციის გარდა, ვრცლად ისაუბრა საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე, მიმოიხილა საქართველოში არსებული განათლების სისტემა.

პრეზენტაცია

დარეჯან ცუცქირიძის პრეზენტაციამ სტუდენტთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. აუდიტორიის მხრიდან დაისვა არაერთი კითხვა როგორც უშუალოდ პრეზენტაციაში წარმოდგენილი საკითხებიდან გამომდინარე, ასევე, ზოგადი ხასიათის. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საქართველოს მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლებმა, ქართულმა ანბანმა, ქართული კულტურის კერებმა უცხოერთში, საქართველოს საერთაშორისო სატრანზიტო ფუნქციამ, საქართველოს ტურისტულმა პოტენციალმა, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულმა საკითხებმა.

ორმა პორტუგალიელმა სტუდენტმა გამოთქვა საქართველოში მობილობით ჩამოსვლისა და სწავლის სურვილი. მობილობაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ქალბატონმა ლილიანა რეიმაც, რომელმაც ქართველ კოლეგას Facebook სოციალური ქსელის საშუალებით მადლობა გადაუხადა შეხვედრისა და წარდგენილი პრეზენტაციისათვის.

პრეზენტაცია

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბეირას უნივერსიტეტში ყოფნის პერიოდს დაემთხვა ქალაქ კოვილიანისადმი მიძღვნილი ადგილობრივი დღესასწაული, რომელიც ტრადიციულად ყოველი წლის 20 ოქტომბერს იმართება. ვინაიდან მუნიციპალიტეტისა და ქალაქის განვითარების ისტორია სამრეწველო-მანუფაქტურულ ტრადიციებს უკავშირდება, მასპინძელმა მხარემ მნიშვნელოვნად ჩათვალა სტუმრისათვის გაეცნო ქალაქის ისტორია და მოეწყო კულტურული ღონისძიება „ტექსტილის მუზეუმში“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის მთავარ შენობაში.

ბეირას ინტერიერის უნივერსიტეტში სტუმრობის ბოლო დღეს დარეჯან ცუცქირიძეს გადაეცა ტრენინგის მიზნით მობილობაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.